



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (10.117)

20-27 აპრილი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ორი ახალი დარბაზი - დედოფლისწყაროს!

კახეთის რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში გრძელდება. მალე, რეგიონს კიდევ ერთი, ახლად აშენებული სპორტული კომპლექსი შეემატება. დასკვნითი ფაზაშია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში, ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მოგესხენებათ, ლაშა ბექაურმა ამ დარბაზის მშენებლობის პირობა დედოფლისწყაროში ჩამოსული პროექტისგან, ირაკლი ლარიბაშვილისგან პირადად მიიღო და დაპირება უკვე რეალობად იქცა. სულ რამდენიმე თვეში პროცესი უკვე დამთავრდება. ჩვენ გვექნება უმაღლესი სტანდარტების მქონე დარბაზი, რომელიც სასწავლო პროცესის გარდა საშუალებას მოგვცემს მაღალი რანგის შეჯიბრებები სწორედ ოლიმპიური ჩემპიონის მშობლიურ სოფელში გაიმართოს ხოლმე და ვუმასპინძლოთ ასეთ ტურნირებს. მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ შენობას აშენებენ, ვთხოვ, რომ მაქსიმალურად ვეცადოთ, იქნებ მოხერხდეს დარბაზის მშენებლობის დაჩქარება, რომ დასრულდეს ზაფხულის ოლიმპიადამდე. მოგესხენებათ, სულ რამდენიმე თვეში

ლაშა ბექაური მეორე ოლიმპიური მედლისთვის პარიზის ოლიმპიადაზე გამგზავრებას გეგმავს და ამისათვის ემზადება. ასე რომ, კარგი იქნება, თუ ჩვენ მის სახელობის დარბაზს მანამდე გავხსნით. თუმცა, ეს ისეთი მოვლენაა, რომ არ აქვს დიდი მნიშვნელობა, ოლიმპიადამდე გაიხსნება თუ შემდგომ. რაც მთავარია, ამ სოფლებში გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ამ დარბაზში ალიზარდონ მომავალი ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. ამ სოფლებში ისედაც იზრდებოდნენ ჩემპიონები, მაგრამ ახლა მოსამზადებლად უკეთესი პირობები ექნებათ. დარბაზი გარშემო 6 სოფელს მოემსახურება და მათ ღირსეულ პირობებს შეეუქმნით“.

პროექტი ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და მისი ჯამური ღირებულება - 2,278,444 ლარს შეადგენს.

სოფელ არხილოსკალოს სპორტულ კომპლექსს სახელოვანი ქართველი სპორტსმენის ლაშა ბექაურის სახელი მიენიჭება.



კიკოძისინის დარბაზის საპირველი ჩაასხა

ქალაქ დედოფლისწყაროში ცენტრალური სტადიონის მიმდებარე სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ადგილობრივი კიკბოქსინგის გუნდისთვისაა გათვლილი.

სამშენებლო სამუშაოებს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა - სავარჯიშო დარბაზი, ტატამი, საშხაპეები, გამოსაცვლელი სივრცეები და ცენტრალური გათბობა.

სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 1 375 041 ლარს შეადგენს.



„რა ენა ნახდეს“...

„სამი ლეტაბერივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამით არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?... სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუფთობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, - წერდა წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე).

ენა მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება როდია, ენა აზროვნების იარაღია. ჩვენ მდიდრები ვართ ენით და მდიდრები ვართ ანბანით.

ენა დედა ეროსა, - წერდა ვაჟა-ფშაველა. 14 აპრილი დედაენის დღეა, მშობლიური ქართული ენის დღე! ქართული ენით შეკავშირებულმა ერმა შექმნა თვითმყოფადი, უკვდავი კულტურა და ხელოვნება, ქართული ენის სიყვარულმა, მისი დაცვისთვის ბრძოლამ მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე...

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“, - ხშირად იმეორებდა დიდი ილია ჭავჭავაძე პოეტ გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს და აქვე გამოთქვამდა წუხილს, თუ როგორი ძალისხმევა

გვმართებს ჩვენი დედა-ენის, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად და შესანარჩუნებლად. საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა უდიდესი ბრძოლით, სისხლითა და მსხვერპლით მოიპოვა უფლება, ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო ენა და აღეზარდა თაობები ამ ენის დაცვის, ეროვნული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

14 აპრილი, დედაენის დღე, ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ძვირფასი თარიღი, რომელიც უპირობოდ აერთიანებს თითოეულ ქართველსა და საქართველოს ყველა მოქალაქეს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. 1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამოერთმევა; სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული.

ზუსტად 46 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა ათეულათასობით ადამიანმა სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვა ქართული ენა — ჩვენი

თვითმყოფადობისა და იდენტობის საფუძველი. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. ვითარება ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხალხთან გამოვიდა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ ვითარების განსამუხტად და მათ დასაშოშინებლად.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გაცნობიერა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი იყო — სისხლისღვრა ან დათმობა და მოსკოვი იძულებული შეიქმნა, დაეთმო. ამ მოვლენების გამო 14 აპრილი არაოფიციალურად დედაენის დღედ გამოცხადდა. საქართველოს უახლეს ისტორიაში ეს გახლდათ უპრეცედენტო მოვლენა, როდესაც ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და არ დაუშვეს ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის დაკარგვა. დღეს უკვე თითოეული ჩვენგანის ვალი და პასუხისმგებლობაა, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენი თანამემამულეების თავდადებით შენარჩუნებულ მშობლიურ ენას.

14 აპრილს დედაენის დღე საქართველოში 1990 წლიდან აღინიშნება.

მოამზადა **ელზა ხარაშვილი**

შეხვედრა ბიზნეს სექტორთან

სსიპ „ანარმოე საქართველოში“ კახეთის რეგიონის საკონსულტაციო ცენტრის ბიზნეს კონსულტანტმა სალომე იანვარაშვილმა ადგილობრივი ბიზნეს სექტორთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი დაესწრნენ. საინფორმაციო შეხვედრაზე სალომე იანვარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას „ანარმოე საქართველოში“ კახეთის

საკონსულტაციო ცენტრის კონცეფციის შესახებ ინფორმაცია მიანიჭა.

საკონსულტაციო ცენტრი კახეთის რეგიონის მასშტაბით არსებულ მენარმეებს საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსებისა და ბიზნეს უნარების გაუმჯობესების სერვისებს შესთავაზებს. ბიზნეს კონსულტანტის განცხადებით, საკონსულტაციო ცენტრში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს საინფორმაციო მომსახურება არა მხოლოდ სააგენტოს, არამედ ქვეყანაში არსებული სამთავრობო და არასამთავრობო პროექტების შესახებ.



მოხალისეებმა „ქორჯის ტბაში“ თევზი გაუშვეს

გასულ კვირას დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდებმა საკუთარი სურვილით ქორჯის ტბაზე რამდენიმე სახეობის თევზი გაუშვეს. ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მომდევნო დღეებში მათ ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა და არაერთმა ადგილობრივმა დაათევზიანა ტბა, რომლის წყლით შევსებაც ახლა დაიწყო. ახალ-ახალი ვიდეოები თითქმის ყოველდღიურად ვრცელდება.

გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, რა მოტივაცია და ინტერესი ამოძრავებდა მოხალისეებს, რომელთაც საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტეს და განახორციელეს ტბის გათევზიანება. რამდენიმე მათგანთან გასაუბრება შევძელით.

„მთელი ბავშვობა ამ ტბაზე გავატარეთ და ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაქვს მასთან დაკავშირებული. არასდროს დამავინწყდება ის ემოციები. მინდა, ჩემმა შვილებმაც განიცადონ ეს და აქ ხშირად გაატარონ დრო, ტბაზე იარონ, მეგობრებთან ერთად დაისვენონ. ამიტომ ჩემი ოჯახის წევრების სურვილით თევზები მოვავროვეთ და ამ ტბაში გაუშვიეთ, რომ მომრავლდეს და ტბა

გამოცოცხლდეს. აქ რომ გავივლიდით და ბოლო წლებში ასე შრებოდა, გული გვწყდებოდა. გვექონდა მოლოდინი, რომ ბუნებრივ აღდგენას შეძლებდა, მაგრამ წლები გადის და ვერ მოხერხდა. ხელოვნურად წყლით შევსების შემდეგ კი იმედი გაჩნდა და ჩვენც შევეუერთდით ამ კარგ საქმეს“.

„გვინდოდა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ქორჯის ტბის აღდგენის პროცესში.“



ზოგადად, თევზობა ძალიან გვიყვარს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ ტბაში ძველებურად თევზი მომრავლდეს“.

ფაქტს გამოეხმაურა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ის მოხალისეებს მადლობას უხდის ამ საინტერესო ინიციატივისთვის და მოქალაქეებს ბუნებაზე ზრუნვისკენ მოუწოდებს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „რამდენიმე კარგმა დედოფლისწყაროელმა ადამიანმა თავისი სურვილით გადაწყვიტა თევზი გაეშვა ტბაში, რათა დაეხმაროს ტბას სიცოცხლის განახლებაში. ეს ვიდეოები რომ გამოქვეყნდა, ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა და ე.წ. ჩელიენჯი დაიწყო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ ადამიანს სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობისთვის და ამ კარგი იდეისთვის, ასეთი აქტიურობისთვის. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ დედა ბუნებაზე და მოვუფრთხილდეთ ჩვენს გარემოს. მინდა მოვუწოდო თითოეულ დედოფლისწყაროელს, გავუფრთხილდეთ იმ ინფრასტრუქტურას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ასევე მიზიდულობის ცენტრი გახდა ჩვენს მიერ ცენტრალური რეზერვუარიდან ტბის მიმართულებით



დაფენილი ახალი მილსადენი. დიდი დაინტერესება გამოიწვია. მოქალაქეები ყოველდღიურად მიდიან და ადგილზე ნახულობენ, როგორ ხდება ტბის შევსება ზედმეტი წყლის რესურსით. იმდენად მონატრებულია ტბის განახლებით, რომ უნდათ ადგილზე ნახონ პროცესი,“ - აღნიშნავს მერი.

ილია მარტყოფლიშვილი:

როდის ამოქმედდება ტრანსპორტი?



მუნიციპალური ტრანსპორტი დედოფლისწყაროში მოძრაობას სავარაუდოდ მაისის ბოლოს დაიწყებს, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ტელეკომპანია „მავსტროს“ პირდაპირ ეთერში სტუმრობისას განაცხადა. მისი თქმით, „ისუზუს“ მარკის თანამედროვე ტიპის ავტობუსები სოფელ ხორნაბუჯიდან, ცენტრალური პარკიდან, ე.წ. ცალმხრივიდან დაიწყებს მოძრაობას, გაივლის ქალაქ დედოფლისწყაროს და მარშრუტს დაასრულებს სოფელ სამრეკლოს ცენტრში,

შემდეგ კი უკან დაბრუნდება.

ჯანიაშვილის განმარტებით, მგზავრობის ფასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, თუმცა ცნობილია, რომ გადახდის საბარათე სისტემა იმოქმედებს და მგზავრობა დაახლოებით 0,80 თეთრიდან 1 ლარამდე იქნება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ისტორიაში პირველი მუნიციპალური ტრანსპორტი იქნება, მანამდე ჩვენს რაიონში მუნიციპალურ საბიუჯეტო ტრანსპორტს არ უმოძრაოვია. მცირე ტექნიკური საკითხები დარჩა მოსაგვარებელი და შევძლებთ უახლოეს მომავალში მოხერხდეს შემუშავების დაწყება. ეს მარშრუტი მჭიდროდ დასახლებულია, ავტობუსი გაივლის სამ ყველაზე დიდ დასახლებას, სწორედ ამ მონაკვეთზე ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი და ვფიქრობთ, დატვირთვაც შესაბამისი იქნება. მიმდინარეობს გარეგნობის მონიშვნა და შესაბამისად მონაცემების პროცესი“. **შირაქი**

„ქორჯის ტბა“ გაინფინანსება

ვიდრე ქორჯის ტბა შევსებას დაასრულებს, მანამდე იქ არსებული ბეტონის ნაწილებისა და სხვა ნარჩენებისგან გაინფინანსება, დასუფთავდება სანაპირო ზოლიც. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განაცხადა.

„დავგეგმეთ როგორი უნდა იყოს სანაპირო და იქ არსებული ინფრასტრუქტურა. ტბის მოცულობას ამ წელს დაკვირვებისთვის გამოვიყენებთ, წინასწარი გათვლებით, დაახლოებით 6-7 თვე დასჭირდება, რომ ტბა დასტაბილურდეს და გამოიკვეთოს მისი ძირითადი საზღვრები. ექნება აორთქლებაც და გააჟონვაც, იქნება დანაკარგი, ამიტომ აუცილებელია სტაბილურობა შენარჩუნდეს, რომ შემდეგ განვითარებაზე ვიზრუნოთ. დაახლოებით 38 ჰექტარი უნდა იყოს ტბის ზედაპირი. დავგეგმეთ, რომ დასუფთავება დაიწყოს. აუცილებელია, უახლოეს მომავალში სანაპირო ზოლის სრულ განმედას მოვახდინოთ. ასევე, არაჩვეულებრივი ნაძვანარია სანაპიროზე და ვაპირებთ მის კონსერვაციას. აუცილებელია შემოი-

ღობოს, რომ საქონელმა არ დაზიანოს. უნდა მოხდეს დამატებითი გამწვანება. სარბენი ბილიკები, სპორტული მოედნები გაკეთდება. იქნება ყველა ის საშუალება, რომ ადამიანი ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავდეს და გამოვიყენოთ ტბის ის სამკურნალო თვისებები, რაც მას გააჩნია. საკმაოდ მარილიანი წყალია და არაერთ სასარგებლო მინერალს შეიცავს. გვინდა, რომ გამოყენებადი იყოს და კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შევამატოს დედოფლისწყაროს, ტბამ უნდა დაიბრუნოს ის დიდება და ფუნქცია, რომელიც ჰქონდა და არაერთ თაობას დღემდე ტკბილად ახსოვს. ზაფხულობით საუკეთესო თავშესაფრის ადგილი სწორედ ქორჯის ტბა იყო და არაერთ თაობას აერთიანებდა. ვიდრე აქ ინფრასტრუქტურას გავაუმჯობესებთ, მანამდე სოფელ ხორნაბუჯში ცენტრალური პარკი გაიხსნება ხელოვნური ტბით. სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა და სულ რამდენიმე თვეში შევძლებთ გავხსნათ მულტიფუნქციური ცენტრალური სკვერი“ - ამბობს მერი. **შირაქი**

„ჩემი მიზანია, ძველი ტრადიცია და პურის მაღლი დაგაბრუნებინო ხალხს“...

...როცა ეკლესიაში მსახურებისგან ისვენებს, საკუთარ საცხოვრებელს და მცხოვრებელს ნინსაფარს ირგებს. ქართული, ენდემური ხორბლის ჯიშების აღდგენაზეც და მრევლის ჯანმრთელობაზეც ერთდროულად ზრუნავს.

დეკანოზმა გიორგიმ (ჯინაშვილი) პაპისულ ფუძეზე, სამრევლოში პურის სახლი „მაღლიანი“ გახსნა, სადაც პურის მხოლოდ ქართული ხორბლის მიწისყვებულ ჯიშებით აცხოვრებს. საცხოვრებელს მიზანია, ქართული პურის დავისყვებულ გემო და სურნელი დააბრუნონ და მოსახლეობა ჯანსაღი პურით მოამარაგონ. პური „მაღლიანი“ სწორედ იმ ისტორიის გაგრძელებაა, რომელიც თანამედროვე ყოფაში ახალ ფორმას და დატვირთვას იძენს, მაგრამ არ კარგავს მთავარს და ყველაზე საკრალურს – ცომის გუნდაში დამალულს ძველი შინაარსი თუ ახალი აღმოჩენა.



© Bread house Madliani - პურის სახლი მაღლიანი

ყველაფერი 20 წლის წინ დაიწყო. მაშინ ჯერ საერო ცხოვრებით, მაგრამ ეკლესიურად ვცხოვრობდი, ვგულისხმობ მარხვის შენახვას და ლოცვებზე სიარულს. სწორედ ამ პერიოდში გავეჩინა მე და პაპას იდეა, მოგვეპოვეთ ქართული ხორბლის ჯიშები, აგველორდინებინა და მისგან გამოგვეცხო სურნელოვანი პური. მამა პეტრე მამინ ვაშლოვანის ნაკრძალის ხელმძღვანელი იყო. ამ პერიოდში გამოცხადდა მცირე გრანტების პროგრამა, სადაც შევიტანეთ მამინ საპროექტო განაცხადი ქართული ხორბლის ჯიშების აღდგენაზე. დაგვაფინანსეს. მაგრამ როდესაც დავეინყეთ ძველი ხორბლის ჯიშების მოძიება, არავის ჰქონდა. ღვთის შეწევნით გავიციანთ ამ საქმის დიდოსტატი და მოჭირნახულე ირაკლი რეხვიამვილი, რომელსაც ასურეთში ხორბლის სათესლე მუშრობა ჰქონდა. მას ენდემური, უძველესი ქართული ხორბლის ჯიშების კოლექცია აქვს, მცირე ნაკვეთებზე ყოველწლიურად თესავს და ასე ინარჩუნებს განაშენიებულ სახეობებს. როცა დოლის ხორბლის ჯიშში მოვთხოვეთ, გაუჭვირდა, დიდი ხანია ამ თხოვნით ჩემთან აღარავინ მოსულა. მცირე რაოდენობით ნითელი დოლის, შავფხასა და დიკას ხორბალი ნამოვიღეთ და მესამე ფართობზე დავთესეთ. როცა ჯეჯელი წამოიზარდა, ისეთი ზომის გახდა, ხალხი სანახავად მოდიოდა.

დამზადებულ პურს აქმევს ოჯახს, მეუბნება, ხშირად აღარ ავადობენო. სასარგებლო თვისებების მატარებელი რომ არის დალოცვილი ჩვენი პური, უფალმაც, ალბათ, ამიტომ გამოაჩინა სხვა საკვებისგან.

– პურის „მოგზაურობა“ ცომის მოზელის შემდეგაც გრძელდება: ცომს ერთ გუნდას მოაგლეჯენ და თიხის ქილაში, თავდახურულს, ბნელ ოთახში ინახავენ (ცამ არ უნდა დახედოს) — „პურის ხაში, ათადან და ბაბადან მოდის, შიგ ქრისტეს სისხლი ურევიაო!“ ალბათ ამიტომ იცოდნენ „პურის ხაშის“ ზიარება.

– ოჯახისთვის პურს სახლში, ჩვენი მოყვანილი ხორბლის ფეკილით ვაცხობთ. საფუარსაც სვითა და ყურძნის წვენი ვამზადებთ. ფსალმუნში წერია, ღვინო ახარებს კაცის გულს, ხოლო პური განამტკიცებსო. ორივე წმინდა საკვებია. ოჯახში, სადაც პური ცხვება, მაღლი ტრიალებს. პურშია ყველა ის საჭირო ნივთიერება და ვიტამინი, რაც ადამიანს სჭირდება. სამწუხაროა, რომ ნამდვილი პურის სურნელი და გემოც დაკარგულია, ქართული ჯიშის ხორბალი და ბუნებრივი მასალისგან დამზადებული საფუარი დავინყებამს მიეცა. ჩემი მიზანია, ძველი ტრადიცია და პურის მაღლი დაგაბრუნებინო ხალხს. მინდა ჩემი საცხოვრებელი სტატიის სხვებისთვის, რათა ქართულ ხორბალს, მისგან გამოცხვარ პურს მიანიჭონ უპირატესობა. მალე იუნესკო განიხილავს და ქართულ ხორბალს ძეგლის სტატუსს მიანიჭებს. საქართველო არა მხოლოდ ღვინის, არამედ ხორბლის სამშობლოცაა.

სოფელ სამრევლოში დედაჩემის მშობლები ცხოვრობდნენ. პაპა-ბებოსთან გავიზარდე და ნამდვილი პურის გემოც იქ გავიგე. ბებო ისეთი საოცარ პურს აცხობდა, მისი სურნელი სოფლის ბოლომდე ჩადიოდა. პურის ცხობის დღე რიტუალური იყო. სვიისგან საფუარს წინდანინ ამზადებდა, რომელსაც ხაშს ეძახდა. სვია პაპას მინდვრიდან მოჰქონდა. მცენარის ყვავილს ხარშავდნენ, ქატოში ზელდნენ, ამრობდნენ, ბურთულეებად ამზადებდნენ და ინახავდნენ. პურის ცხობის დღეს ბებო უთენია დგებოდა, სვიის ბურთულას დაღობით გაააქტიურებდა და ქართული ხორბლის ფეკილში გახსნიდა. ასე ზელდა პურის ცომს. სვიის საფუარით მოზელილი ცომის აფუებულ გუნდას თიხის ჭურჭელში,

გრილ ადგილას შეინახავდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ შეათბობდნენ და თბილ წყალთან ერთად შეაზელდნენ საპურე ფეკილს. ბოლოს თბილად შეფუთავდნენ და აფუებდნენ დაელოდებოდნენ. ამასობაში პაპა თონეს გაახურებდა და იწყებოდა შოთის პურების თონეში ჩაკვრა. დილით ბავშვებს ისეთი თონის პურის სურნელი გვავლიძებდა, ლოგინში ვეღარ ვჩერებოდით. სოფელში ყველამ იცოდა, იმ დღეს ვინ აცხობდა პურს, რადგან სუნი შორს ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მამინ ნაკლებად ეკლესიურად ცხოვრობდნენ, მოზელის შემდეგ ცომზე ხელით ჯვარს აუცილებლად გამოსახავდნენ. სანამ გამოცხვარ პურს სახლში დააბინავებდნენ, 10-15 პურს მეზობლებში გასცემდნენ. ამ საქმეს ხშირად ბავშვებს გვანდობდნენ და ჩვენც ხალისიანად ვარიგებდით. სხვებზეც ასე იქცეოდნენ და ერთმანეთს ხელს უმართავდნენ.



პურის სახლი მაღლიანი

პაპაჩემი, დავით ბოსტოლანაშვილი, აგრონომი იყო. როცა წამოვიზარდე და მივხვდი, რომ იგივე სურნელი და გემო პურს აღარ ჰქონდა, დავინტერესდი და ვკითხე, როგორი ფეკილით აცხობდნენ წინათ? რამდენიმე ქართული ჯიშის ხორბალი დამისახელა, მათ შორის ნითელი დოლი, შავფხასა. ყველაზე დიდი სახნავ-სათესი ფართობი დედოფლისწყაროშია, მას პურის ბელელსაც ეძახდნენ, რაც დღემდე ასეა. აქ მოგვანილ ხორბალს განსხვავებული გემოვანი თვისებები აქვს. პაპამ ამისხსნა, რომ დედახორბალი ჩანაცვლეს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი უხვ-მოსავლიანი, ხელოვნურად გამოყვანილი ჯიშებით, რომლებიც გემოვანი თვისებებითა და სურნელით არ გამოირჩეოდა. ბევრია ისეთი ხორბალი, რომლითაც კარგ პურს ვერ გამოაცხობ, არ გაფუფეება, ქართული ჯიშის ხორბალს კი საუკეთესო ცხობის მონაცემები აქვს.

სანამ სასულიერო შირი გავხდებოდი, ჩვენს ტაძარში ოჯახებში გამოცხვარი სეფისკვერები მოჰქონდათ და ამ წმინდა პურებსაც საოცარი სურნელი ახდიოდა. როგორც ბარძიში უნდა გამოიყენებოდა საუკეთესო ზედაზე ღვინო, სეფისკვერის ფეკილსაც არაფერი არ უნდა დაემატოს და დედახორბლის ფეკილით გამოცხვეს.

– ქართული დედაჯიშის ხორბალი ვიზუალურადაც განსხვავებულია?

– ქართული ენდემური ჯიშები მალა-ლი იზრდება, რადგან გარემო პირობებს კარგად ეგუება. თუ წვიმებმა გააღალა,

ადამიანი მასში დამალვას თავისუფლად შეძლებს. შავფხას თავთავს ისეთი ლამაზი ნყოფა აქვს, ჩოხაშემოცმულ ვაჭკაცს მოგაგონებს, ნითელი დოლის ჯიშს კი ნითელი ფხები და დიდი თავთავები ამშვენებს. ორივეში არის რალაც ჩვენებური, ქართული. ისეთი მებრძოლი ჯიშებია, შორიხლოს სხვა მცენარეებს არ უშვებს, მაქსიმალურად იბრძვის, რომ ავრობოს, თავი გადაირჩინოს და გამრავლდეს. ერთ-ერთ ისტორიულ წყაროში წერია, შემოსევების დროს ურდო გადათელავდა ხოლმე ყანებს, მაგრამ მოსავალი არ ფუჭდებოდა და ხალხი უპუროდ არ რჩებოდა. ამჟამად გავრცელებულ ხორბალში რომ გაიბრინო, იქიდან მარცვალს ვეღარ მიიღებ, ქარი, ხშირი წვიმები აწვენს თავთავს, ამტვრევს და მოსავალი ნადგურდება. ქართული ჯიშის ხორბალი კი ისეთი გენისაა, დაწოლილიც მოსავალს იძლევა და მისი ღერო ადვილად არ ტყდება.

– თესლბრუნვასთან დაკავშირებით რა ხდება?

– ეს არის დედა ჯიშები და მას შეცვლა არ სჭირდება. თესლბრუნვა აქაც საჭიროა, მაგრამ გაცილებით იოლია. ეს ხორბალი ბრტენია, ის მინას არ ფიტავს. თავისივე ღეროს მერე მინას უტოვებს საკვებად. 4-5 წელიწადში ერთხელ ვთესავთ პარკოსანს - არის ასეთი - ცერცველა ჰქვია. ბატონი ირაკლის რეკომენდაციებით ვამუშავებთ მინას, სულ სხვანაირი მეთოდები აქვს მას. ახლაც, მაგალითად, ხორბალი დაფარავს.

– როგორ ამუშავებთ მინას ისე, რომ თანამედროვე შხამ-ქიმიკატებმა ხორბლის დნმ არ შეცვალოს?

– მე და პაპამ გადავწყვიტეთ, ჩვენი ხორბალი შხამქიმიკატების გარეშე მოგვეყვანა. ნაკეთის დამუშავება მოსავლის ალბისთანავე დავინყეთ. მოხსულს რამდენჯერმე ვუჭარებდით კულტივაციას, რითაც ვსპობდით სარეველას და ჰერბიციდი აღარ გვჭირდებოდა. იდეალურად მომზადებულ ნიადაგში ვითავსავდით ოქტიმბრის ბოლოს და სასუქს არ ვუყრიდით, თუმცა წლების შემდეგ ბიოსასუქების შეტანა მაინც გახდა საჭირო. მოსავალს მცირეს ვიღებდით, მაგრამ ჯანსაღს. რამდენიმე წელიწადი მხოლოდ ჯიშის გამრავლებას მოვანდომეთ. პაპა რომ გარდაიცვალა, არ გავჩერებულვარ და დანყებული საქმე გავაგრძელე. ძალიან მინდოდა ხალხსაც გაემრავლებინა ძველი ჯიშები და სოფლებში პურის ძველი გემო და სურნელი დაბრუნებულიყო. ტაძარში მიმქონდა ხორბლის ტომრები და ვინც გამრავლების სურვილს გამოთქვამდა, ტომრით ვაძლევდი — დათესე და ბევრი რომ გექნება, ამ ტომრითვე ეკლესიაში მოიტანე-მეთქი.

ერთხელ ჩვენი პატრიარქი ფერმერებს შეხვდა და ჰკითხა, პურის სურნელი და გემო სად გაქრა? ყველა გაჩუმდა. როცა გაიგო, რომ ჩვენ ნითელი დოლის ხორბალს ვთესავდით, გაუხარდა და შეგვაქო. დაველოცა და კურთხევა მოგვცა, კიდევ უფრო გავემრავლებინა დედაჯიშები და სხვებისთვისაც გვენილადა. ამჟამად შირაქის ველსა და ტარიბანას ახლოს 25 ჰექტარზე ვთესავთ ქართულ ჯიშებს. ამის შემდეგ ძველი მეთოდებით პურის ცხობის მოძიება დავინყე. პურის გამოსაცხობად ახლა რომელი საფუარებიც გამოიყენება, მასში ცხოველური დანამატები შედის. მეცნიერებმაც დაამტკიცეს, რომ ცომის სწრაფი აფუება ბევრ დაავადებას იწვევს. თანამედროვე საფუარს სითბო არ სჭირდება — მოზელ, დადგამ და მალევე გაფუფეება. მაცივარშიც კი ფუფეება. სვიის საფუარის ცომი კარგად უნდა შეფუთო, რომ გაფუფედეს. გავარკვიეთ, რომ მაჭრით საფუარის დამზადების წესიც არსებულა. ახალდაწურული ყურძენი დუღილის აქტიურ ფაზაში რომ შევა, წვენი უნდა ამოიღოთ, გადანუროთ, ქატო შეაზილოთ, ბურთულეები დაამზადოთ და ბუნებრივ სითბოში გამოაშროთ. გამოყენების წინ ბურთულა თბილ წყალში უნდა გაიხსნას, შეერიოს ფეკილს, თბილად შეიფუთოს და დაინყებს გაფუფება. ასეთი სახით აფუებული ცომიც გამოიყენება საფუარად და ეს ჯაჭური პროცესი მანამდე შეიძლება გავაგრძელოთ, სანამ საფუარი არ დასუსტდება. მერე კვლავ გავხსნით საფურის ახალ ბურთულას და ა.შ.

/დასასრული მეხუთე გვერდზე/



მედალოსანი მოსწავლეები დააჯილდოვეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს და პედაგოგებს მედალოსანი მოსწავლეების ცერემონია გაიმართა.

2021-2022 სასწავლო წლის წარჩინებით კურსდამთავრებულებს მედალები გადასცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონულაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაშიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშიაშვილმა. 2021-2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლა მედალზე ოცდათხუთმეტმა მოსწავლემ დაამთავრა. აქედან 30 ოქროს, 5 კი ვერცხლის მედალოსანია.

ბარნიკ ტყეშელაშვილი (ხორნაბუჯის სკოლა) „ცერემონიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, მონვეული სტუმრების და, რა თქმა უნდა, მერის და დეპუტატის მხარდაჭერა დასაფასებელი და სასიამოვნო იყო. ჩემთვის ეს მედალი ნიშნავს მრავალწლიანი შრომის დაფასებას, ძალიან კარგია, რომ ასეთი დაჯილდოვებები ყოველწლიურად ტარდება, რადგან წარმატებულ მოსწავლეებს ამით სწავლის გასაგრძელებლად მეტი სტიმული ეძლევა. წლების მანძილზე ბევრი მსხვერპლის გაღება დამჭირდა მედალოსნის სტატუსი რომ მიმეღო. ეს იყო პირველი რიგში დისციპლინა და მოთმინება. რთულია სულ სწავლაში იყო ჩართული და არ გადაინვა. თუმცა, თუ კარგად იცი დროის მენეჯმენტი, ეს პროცესი გამარტივდება. მსხვერპლის გაღებაა, როცა თავისუფალ დროსაც სწავლას ანდომებ. მეგობრებს ხშირად ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ზოგადად, მედალოსნის მიზანია თუ გაქვს, მაშინ უნდა გაიაზრო, რომ გართობა არ გამოგა იმდენი, რამდენიც შენს გულს გაუხარდება. მედიცინას გავყევი, ბავშვობიდან მხიბლავდა ეს პროფესია. კავკასიის უნივერსიტეტში ვსწავლობ, ზოგადი დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტი, კონკრეტულ განხრას ნ წლის ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ ავირჩევ, ფიქრობ, ქირურგიას გავყევი. რეგიონებში სკოლის დონე საკმაოდ დაბალია. ვფიქრობ, თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს, არაფერი დამკლებია. ყველაფერი ინდივიდუალურია და ნებისმიერს შეუძლია წარმატების მიღწევა, იმის მიუხედავად თუ სკოლაში როგორ სწავლობდა. მთავარია შეგეძლოს კომუნიკაცია და ლოგიკური აზროვნება“.

თამარ ხარხაშვილი (ქვემო ქედის სკოლა) „პირველ რიგში უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ღონისძიების თითოეულ ორგანიზატორს ყურადღებისთვისა და დაფასებისთვის. მართალია მედალები გვიან ავიღეთ, მაგრამ იქვე აღნიშნეს, რომ ერთი სიხარული მაშინ იყო, როდესაც მედალოსნები გავხვდით, მეორე სიხარული კი უშუალოდ გადმოცემის პროცესი. ცდა ამად ნამდვილად ღირდა. მომეწონა მედალების გადმოცემისას თითოეული მედალოსნის ამჟამინდელი მდგომარეობით რომ დაინტერესდნენ, ბევრი საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს სამომავლოდ და გვითხრეს, რომ საჭიროებისამებრ ნებისმიერ საკითხში დაგვეხმარებოდნენ. ბოლოს კი, სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ. შეიძლება ითქვას „მედლამდე მისასვლელი გზა“ ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რაც შრო-

მასთან და სიამოვნებასთან ასოცირდება. შესაბამისად, როდესაც მედალს ვუყურებ, ყველა ეს ემოცია მახსენდება და ვფიქრობ, ეს ყველაფერი საამისოდ ღირდა. სკოლის შემდგომ სწავლა გავაგრძელებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე. დანებობა-



მედალოსანი

- სოფიო დავუაშვილი - არხილოსკალოს სკოლა - ოქროს ტატიო ქავთარაძე - არხილოსკალოს სკოლა - ოქროს ანი მონაშვილი - ზემო მარხაანის სკოლა - ოქროს ლიზა მაძლარაშვილი - ზ/მარხაანის სკოლა - ოქროს მარიამ ყოჩიაშვილი - ზემო მარხაანის სკოლა - ოქროს ჯაბა ჯამბასაშვილი - ზემო მარხაანის სკოლა - ოქროს ანა ბუჩუაშვილი - ზემო ქედის №1 სკოლა - ოქროს ანი ილიაშვილი - ზემო ქედის №2 სკოლა - ოქროს თეკლე ზურაბაშვილი - სამრეკლოს სკოლა - ოქროს მირიამ მამულაშვილი - სამრეკლოს სკოლა - ოქროს სალომე ბაცვაშვილი - სამრეკლოს სკოლა - ოქროს თამარ ახალაშვილი - ქვემო ქედის სკოლა - ოქროს თამარ ხარხაშვილი - ქვემო ქედის სკოლა - ოქროს ბარნიკ ტყეშელაშვილი - ხორნაბუჯის სკოლა - ოქროს ანა ბიკაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ანა მოლაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ანა ნასრაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ანი ფიროსმანაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ელენე ჩალაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ერეკლე მოლაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ზურა იაკობიშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს თეკლე გიგოლაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ლიზა ყოჩიაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს მარიამ ბიბაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს მარიამ საშუაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ნინო ფიქრიაშვილი - ქ.დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს იოსებ ტოკლიაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს სალომე შალვაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს ძრისტინა გოჭოლაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ოქროს მარიამ ალადაშვილი - არხილოსკალოს სკოლა - ვერცხლი გიორგი ბეგიაშვილი - არხილოსკალოს სკოლა - ვერცხლი მთავა ყოჩიაშვილი - სამრეკლოს სკოლა - ვერცხლი ანა ჩუთლაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ვერცხლი ანი თედევი - დ.წყაროს №1 სკოლა - ვერცხლი სოფიო გოგიაშვილი - დ.წყაროს №1 სკოლა - ვერცხლი

ილია მარტყოფილი

„ჩემი მიზანია, ძველი ტრადიცია და პურის მადლი დაგაბრუნებინო ხალხს“...

/დასაწყისი მეოთხე გვერდზე/

შეამჩნევდით, რომ ამჟამად გავრცელებული ფეკილით გამომცხვარი პურის გული ზაფხულში მალევე ხდება ნებოვანი, არ იჭმება, მალე ობდება. გაგიგონიათ, ალბათ, ძველი გამოთქმა, პური გავტეხოთო, ანუ პური ვჭამოთ, ვიჭეიფოთო. ქართული ჯიშების ხორბლისგან ტრადიციული საფურით დამზადებული პური კი მართლა შეგვიძლია გავტეხოთ. 10 დღის წინ გამომცხვარიც სასიამოვნო საქმელია და არ ფუჭდება.

2006 წლიდან სასულიერო პირი ვარ და ჩემი ტაძრების სეფისკვერებსაც თავად ვაცხობ. ცომის მოხელაში დავეხ-

ლოვნი და შევიყვარე ეს საქმე. მეუფე დავით ალავერდელმა წაიღო ჩვენი ფეკილი და ალავერდის ეპარქიაშიც ჩვენი ხორბლისგან დამზადებული ფეკილით აცხობენ სეფისკვერებსა და პურს. ახლა კი საცხობიც გვექნება სოფელში. მე, ჩემს მეუღლესა და დას გვიანდა ჩვენს საცხობში პურის ტრადიციული ცხობის მეთოდები აღვადგინოთ და ხალხს პურის ძველი გემო დავებრუნოთ. იმ დროში გვიანდა ვამოგზაუროთ, როცა პური მადლიანი იყო, ამიტომაც ჩვენს პურს „მადლიანი“ დავარქვით. ჩვენს საცხობში არაქართული ხორბლის ჯიშებისგან პური არასდროს გამოცხვება.

ბებიჩემი 10 დღეში ერთხელ აკრავდა თონეში პურს. ბოლოს ობი თუ შეეპარებოდა, პაპა დანით გათლიდა, მოაჭრიდა ობიანი ნაწილებს და ბავშვებს გვაჭმევდა, ფულს იპოვიოთ. მათ გაჭირვება გამოცდილი ჰქონდათ და პურს ისე ეპყრობოდნენ, როგორც სინინდეს, ხალხის გადამრჩენელს, ნამცეცს არ აობრებდნენ და ავადებდნენ ძირს. ამიტომაც ქვეყანას, რომელიც რაოდენობრივად უფრო დიდი იყო, ადგილობრივი მოსავალი ჰყოფნიდა. ახლა უფრო ცოტანი ვართ და ფეკილი სხვა ქვეყნიდანაც შემოგვაქვს, რადგან ჩვენი არ გვყოფნის. პურის მიმართ ძველი მიდგომები, მადლი დავეკარგეთ და ზოგჯერ ნაგავიც ვყრით. ყველამ უნდა მოვიხილოთ, ერთმანეთს დავეუბნოთ გვერდში და ეს მადლი დავიბრუნოთ.

გიორგი ნატროშვილი, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ თავმჯდომარე: „მამა გიორგი ჯინაშვილის მიერ ძირძველი ქართული ხორბლისგან მზარელება და ამ ხორბლისგან ტრადიციული მეთოდით პურის ცხობის აღდგენა სამკვიდრო საქმეა და ასეთ საქმეს ყოველი ჩვენგანისგან ხელშეწყობა სჭირდება, ვისაც რითი შეგვიძლია. პირველ რიგში კი პურის შექმნით, რაც ჩვენთვისაც სასარგებლოა და ამ მადლიან საქმესაც წაადგება“.

– მამა გიორგი, მოსახლეობას აინტერესებს, სად შეძლებს პურის შექმნას და როგორია მისი ღირებულება?

– ჩვენს საცხობში სამი სახეობის პური ცხვება: ლომთაგორა, მისი ღირებულება 1,20 ლარს შეადგენს, ხოლო წითელი დოლის პურისა და შავხახის ორი სახეობის

პური-თეთრი და ცხვილი, მათი ფასი 1,50 ლარია. ეს არის უძველესი ქართული ხორბლის ჯიშები, რომლებიც ნაკლებმოსავლიანია. შენყედა მათი თესვა და ჩანაცვლა მაღალმოსავლიანმა ჯიშებმა, რომლის მოყვანაშიც ჩართულია შხამ ქიმიკატები. ძველი ქართული ხორბლის ყანას კი ბიომეთოდებით ამუშავებენ. ასეთია შპს „ბიოაგრო“, რომელთანაც მე უკვე 20 წელია, რაც ვურთიერთობ. ყოველ წელს ვიღებ ხარისხის სერთიფიკატს, სადაც წერია, რომ ამ წლის მოსავალი დამუშავდება „ბიოაგრო“-ს ტექნოლოგიით, რაც გულისხმობს მხოლოდ ბიოპრეპარატების მოხმარებას. ეს პროდუქციის თვითღირებულებას აძვირებს. ამას ემატება საფურარი, რომელიც სვის კვალზეც მზადდება და მაჭარბეც.

ეს ფასი დედოფლისწყაროელებისთვისაა, თორემ ფეკილის ფასი გაცილებით ძვირია. ასე, მაგალითად, თბილისში ბევრი ოჯახი ყიდულობს ჩვენი ხორბლის ფეკილს და 1 კგ-ში 4 ლარს იხდის. პურის გამოცხობის შემთხვევაში პურის ფასი 5 ლარამდე აღის.

სამრეკლოში გამომცხვარი „პური მადლიანის“ შექმნას შეძლებთ დედოფლისწყაროში, შემდეგ მალაზიებში:

- რუსთაველის №124 ლუდის მალაზია (კაკოს მალაზიაში)
- რუსთაველის ქუჩა, ხიდის მიმდებარე (ირმას მალაზიაში)
- რუსთაველის ქუჩა, ხიდის მიმდებარე (თეთრი/ლაპიაშვილების მალაზია)

ესაუბრა ივანე შიოლაშვილი,



„მთელი არსებით ვარ ჩართული ამ საქმეში“...

30 წლის განმავლობაში ზემო ქედის საბავშვო ბაღში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურა. პარალელურად კულტურის სახლის სცენაზე მუდმივად იღვა და მის გარეშე სოფელში ღონისძიება არ ჩატარებულა. საბოლოოდ მაინც გულმა კულტურის სფეროსკენ გაუნია. **მაია ყველაშვილი რვა წელია, ქედების ზონის კულტურის კოორდინატორია და ზემო ქედის კულტურის სახლს ხელმძღვანელობს. ყველაზე პოზიტიური, ხალისიანი, ენერჯიული და საქმიანი ქალბატონი ჩვენი სტუმარია...**

მაია ყველაშვილი: „ბავშვობაში „მათე ბიჭს“ მეძახდნენ, იმდენად აქტიური და ორი ძმისგან გათამამებული ვიყავი, თუმცა არა თავხედი. ძლიერი ოჯახი მქონდა და ხელს გვინყობდნენ. სკოლაშიც საკმაოდ აქტიური ვიყავი, მხატვრულ კითხვაში პატარაობიდან გამოვიჩინე. მსახიობობაზე ვვცდებოდი, თეატრალურზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ დედა წინააღმდეგი იყო. მყავდა ახლობელი და შემძლო მოვხვედრილიყავი, მაგრამ დედას აღარ გავუფიქრებდი. ფილოლოგიურზე ვაბარებდი, მაგრამ ნახევარი ქულა დამაკლდა და ვერ მოვხვდი. სტაჟიც აუცილებელი იყო და ის ერთი წელი სოფლის ბიბლიოთეკაში ვიმუშავე. ე.წ. „ქსნელების უბანში“ არსებულ ბიბლიოთეკაში მოვხვდი, მზია სვარიძე თბილისში გადავიდა, ადგილი გათავისუფლდა და მე ჩამსვეს. მართო ვმუშაობდი, ნაქირავები შენობის მეორე სართულზე იყო ბიბლიოთეკა, სოფელში კიდევ ერთი ბიბლიოთეკა მუშაობდა სოფლის ცენტრში, რწმუნებულის შენობაში. შემდეგ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში ჩავაბარე, საბავშვო ბაღის მასწავლებლის პროფესიაზე. პატარაობიდანვე მინდოდა ბავშვებთან ურთიერთობა, ბავშვები ჩემთვის დიდი ენერჯის წყაროა. სასწავლებელი 4 წელში დავამთავრე და სოფელში დავბრუნდი. 1984 წლიდან „ქსნელების უბანში“ ზემო ქედის №2 საბავშვო ბაღში დავინიყე მუშაობა. პარალელურად პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე დაწყებითების მასწავლებლის დაუსწრებელ სპეციალობაზე. ჯერ აღმზრდელად ვმუშაობდი, თუმცა 1987 წლიდან დირექტორი ვიყავი, ჯამში 30 წელი ვიმუშავე ბაღის დირექტორად, ჯერ მეორე, შემდეგ პირველ საბავშვო ბაღებში.

— ვისი გავლენა იყო თქვენზე, ეს უნარ ჩვევები როგორ განავითარეთ?

— ზემო ქედის №1 სკოლის ეზოსთან იყო კულტურის სახლი. ჯერ კიდევ ძველი კლუბის სცენაზე გამოვდიოდი. თითქმის ყველა ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. რვანლიანი სკოლა დავამთავრე, რომლის დირექტორი იყო **გოგია გვრიტიშვილი**, ქართული ენალიტერატურის მასწავლებელი კი **ელიკო თანდილაშვილი**. სწორედ მათ შეამჩნიეს ჩემში ეს თვისებები და მათ ჩამრთეს ღონისძიებებში. ჯერ სასკოლო და შემდეგ სასოფლო აქტივობებში. რვანლიანი სკოლის შემდეგ სრულ საშუალო სკოლაში გადავედი, სკოლაში სიმღერას მასწავლიდა ასევე მაყვალა ნიკლაური, რომელიც დღემდე ჩემი თანამშრომელია და ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს. მისი წყალობით სკოლის გარეთ აქტივობებში ყოველთვის ერთვებოდნენ აქტიური ბავშვები. სხვა დრო იყო, ყვაოდა ცხოვრება, ძალიან აქტიური წლები იყო. უამრავი ღონისძიება და კაფესალა იმართებოდა, მთელი სოფელი იყო ჩართული, სახლში ამზადებდნენ კერძებს და გამოჰქონდათ.

რაც შეეხება ჩემს გენეტიკას, დედაჩემი იყო მხატვრული კითხვის მონა-

ცემებით დაჯილდოებული, სამსახიობო უნარებიც ჰქონდა. ბიძაჩემი იყო მსახიობი. ამიტომ სახლში ისე ვიზრდებოდი, სულ მხარში მედგნენ. სახლში, ეზოში, თუ უბანში სულ კონცერტს ვატარებდი თანატოლებთან ერთად ვაქტიურობდი და მაქებდნენ ხოლმე, მშობლებს მოსწონდათ. ცდილობდნენ, ყვეგანაირად ხელი შეეწყობათ ჩემთვის. შეიძლება ითქვას, დედაჩემიც ძლიერი



იყო მუსიკაში, მხატვრულ კითხვაში და ალბათ მისი გავლენა იყო. მერეც, როცა დავოჯახდი, ჩემი მეუღლეც ასე იყო, ყოველთვის მქონდა ოჯახის მხარდაჭერა და ხელშეწყობა საიმი-სოდ, რომ ჩემი შემოქმედებითი მიზნები განმეხორციელებინა. ამ მხრივ მაღლიერი ვარ.

— იმის გათვალისწინებით, რომ მასშტაბური კულტურის სახლის შენობა გაქვთ, ალბათ ადგილობრივებში დიდი მოლოდინი არსებობდა მის გახსნამდე...

— აღფრთოვანებულები ვიყავით უზარმაზარი კულტურის სახლის მშენებლობა რომ მიმდინარეობდა. დიდი მოლოდინი იყო სოფელში, ახალგაზრდები, მოზარდები, მოხალისეები ხშირად მივდიოდით და ვცდილობით სამუშაოებში დავხმარებოდით და ჩვენი წვლილი შეგვეტანა. მათაც უხაროდან ჩვენი ინტერესი და ზოგი

იმითომ დასჭირდათ, რომ უნდოდათ უნიკალური, მასშტაბური დარბაზი გამოსულიყო.

— ვიცი, რომ კულტურის სახლის გახსნის ღონისძიება მიგყავდათ, გაიხსენეთ პირველი დღე და ემოციები...

— ახალი კულტურის სახლის შენობა ზემო ქედში 1986 წლის 19 დეკემბერს გაიხსნა. ზემამღებელი და ძალიან ლამაზი დღე იყო. გახსნის ღონისძიება მე მიმყავდა და უცვლელი წამყვანი ვიყავი. კლუბის გახსნა არსენ კობაიძის დაბადების დღეს დაამთხვიეს და მას ლამაზი ლექსი მივუძღვენი. იმდენად კმაყოფილი დარჩა, მითხრა „შენს გარეშე ღონისძიებები ვერ წარმომიდგენია, ყველაფერს ვიზამ, რომ წამყვანის კურსები გაიარო“. სოფელ გამარჯვებიდან რეჟისორი იყო **გოგი არაბული**, საკმაოდ ძლიერი სპეციალისტი. მან მომამზადა გახსნის ღონისძიებისთვის. შემდეგ მარჯანიშვილის თეატრმა აიღო ჩვენი სპონსორობა და ძალიან ხშირი თანამშრომლობა გვქონდა. გახსნის ცერემონიაზე ისინიც

გვსტუმრობდნენ: გივი ბერიკაშვილი, მედეა ჯავახიძე, დოღო ჭიჭინაძე, მალხაზ ბებურიშვილი, ელენე ყიფშიძე. დღემდე მახსოვს, გივი ბერიკაშვილი გაოცებული ათვალისწინებდა ახლად შენებულ კულტურის სახლს, ყველა დეტალს ეცნობოდა და ამბობდა, ამისი მეათედი მოგცა თბილისში, ძალიან უნიკალური დარბაზიაო. მბრუნავი სცენა, უნიკალური განათება, მასშტაბური პროექტი იყო და ყველაფერი ძალიან მოეწონათ. ღონისძიების დაწყებამდე ქურთუკების ჩაბარება, დიდი და მცირე დარბაზი, ამავე შენობაში სასტუმრო, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო მოწყობილი. 540 სკამია და ტევა არ იყო, იმხელა ინტერესი და იმდენი სტუმარი იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძემ სიტყვით გამოსვლის დროს მშენებლობის პროცესზე და მხარდაჭერაზე ისაუბრა. მახსოვს, იმხელა ბანკეტი გაიმართა, შენობაში

მომცა. სოფელშიც ვითამაშეთ, დელოფლისწყაროშიც, თელავშიც და შემდეგ თბილისშიც. ბევრგან დაგვექონდა სპექტაკლი და ჯილდოებსაც ვიღებდით. შემდეგ უკვე ადგილობრივი ძალებით დავდგით „უკანასკნელი კოცნა“. გოგი არაბულის შემდეგ არხილოსკალოელმა **ავთო ბურდულმა** დადგა. ის ცეკვის მასწავლებელი იყო, მაგრამ სარეჟისორო განათლებაც ჰქონდა და სხვა-თამორის არაფრით ჩამოუვარდებოდა წინამორბედს. ეს სპექტაკლიც წარმატებული იყო, მაგრამ მერე ცხოვრება აირია, უშუქობა და უხელფასობა დაიწყო, შტატების შემცირებები მოხდა. სამწუხაროდ ამ უნიკალური დარბაზის ოქროს წლებმა სულ ცოტა ხანს გასტანა და ყველას ახსოვს 90-იან წლებში რა გამოვიარეთ. ბევრი კარგი დღე ახსოვს ამ სცენას, მათ შორის ანსამბლი „სუხიშვილები“.

— მაია, მაინც როგორ და რატომ აღმოჩნდით საბავშვო ბაღიდან კულტურის სახლში?

— მართალია საბავშვო ბაღიდან კულტურის სფეროში გადავედი, მაგრამ მიმაჩნია, რომ უცხო სფეროში არ გადავსულვარ. ასეთი არც გადავიღოდი. ბაღების პარალელურად ყოველთვის მქონდა კულტურის სახლთან კონტაქტი და ძალიან მშობლიურ გარემოში მოვხვდი. კმაყოფილი ვარ ამ ცვლილებით, არსად წასვლას აღარ ვგეგმავ. მთელი ჩემი არსით ვარ ჩართული ამ საქმეში.

სანამ კულტურის სახლს **ქეიონი ქიმოსტელი** ხელმძღვანელობდა, მანამ აქ ცხოვრება ჩქეფდა, ყველაფერი ბოლო-ქრობდა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ წლების მანძილზე ყველაფერი ჩამკვდარი იყო, რომ, აღარაფერი ხდებოდა, ამდენი ჩაკეტილობისგან დარბაზში აურაცხელი დამურები დაბინავდნენ. ჩემს მოსვლამდე ზემო ქედის კულტურის სახლს **თამუნა კობაიძე** ხელმძღვანელობდა, ძალიან აქტიურია. ის ადგილობრივია და მშვენივრად უძღვევოდა თავის საქმეს. მერე მეც გადმოვედი და ერთობლივი ძალებით, მხარში დგომათ ვეცადეთ კულტურული ცხოვრება აღგვედგინა. **მაყვალა ნიკლაურის** თანადგომით მე და თამუნამ ისევ ავამოქმედეთ ეს კერა. ზოგჯერ თვეში სამი ღონისძიება გვაქვს ხოლმე. 2016 წლის მაისიდან ქედების ზონაში კულტურის კოორდინატორი ვარ.

— ამჟამად როგორია თქვენი ყოველდღიურობა, რა დატვირთვა გაქვთ?

— ამჟამად ზემო ქედის კულტურის სახლში მხატვრული კითხვის წრე მოქმედებს, რომელსაც პირადად მე ვუძღვევები და კვირაში სამჯერ გვაქვს გაკვეთილი. 7 ბავშვით დავინიყე, მაგრამ 20 მყავდა, კიდევ 4 ახლახან დამემატა. მსურველი გაცილებით მეტია, მაგრამ ზაფხულის არდადეგები გვიახლოვდება და სექტემბრამდე ველარ დავიმატებ.

მაყვალა ნიკლაურს კი აქვს გუნდი და ორკესტრი. კვირაში ორჯერ იკრიბებიან და 16 მოსწავლე ჰყავს. ყველასთვის საყვარელი მაყვალა ნიკლაური ზემო ქედის კოლორიტია, მასზე საუბარი დაუსრულებლად შემიძლია. 80 წლის ხდება, მაგრამ ისეთი აქტიური და ხალისიანია, ყველას საოცრად დაიდ სტიმულს გვაძლევს. წარმოუდგენლად დიდი სხივი შემოაქვს კულტურის სახლში, სხვანაირი ადამიანია, ყველანაირად კარგი, სიკეთით სავსე, ყველაფრით დადებითი. ყველას გვამღერებს ხოლმე და მოწყენის საშუალებას არ გვაძლევს. ჭირსა თუ ლხინში გვერდით დგომა და ერთგულად შეუძლია. ძალიან ვაფასებ და უზომოდ მიყვარს. მის გარეშე კულტურის სახლი ვერ წარმომიდგენია.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი



თამარ კობაიძე, მაია ყველაშვილი, მაყვალა ნიკლაური

აგურებს აწვდიდა, ზოგი რა საქმეს გამოხატავდა ხოლმე. შემდეგ რატომღაც მშენებლობა გაჭიანურდა და ყველამ იმედი დაკარგა, რომ კულტურის სახლის მშენებლობა დასრულდებოდა. მაშინ ცხოვრება არ ჭირდა, ზემო ქედის ძლიერი სოფელი იყო, არც ფინანსურად უჭირდა, მაგრამ ვერ გეტყვით რა მიზეზით შეფერხდა მშენებლობა. დაახლოებით 15 წელი მიმდინარეობდა სამუშაოები. შესაძლოა, ამდენი დრო

ყველგან სუფრა იყო გაშლილი და ადგილი რომ აღარ დარჩა, კოლმეურნეობამ სახლებშიც გაშალა სუფრები. საოცრად აქტიური და ლამაზი წლები იყო. ბაღში ვმუშაობდი, მაგრამ კულტურის სახლში ხალისით მოვდიოდი, მიხაროდა აქ ყოფნა. მალევე დაიდგა თელავის თეატრის სპექტაკლი „ალალე“. მეორადი როლი მქონდა, მეზობლის, მანანა ჯოხარაძის როლი შევასრულე, მაგრამ თეატრმა დიდი გამოცდილება

კახეთის შესახებ წიგნი გამოიყარა

დიდი ილია გომბორავა: „აღდეგნა - ერის გამოცხადება, გამხრევა, ანგმოს გავება და ნარმართვა, მერმისის გამოკვეთა სიბნელისგან“. ამის დასტური გახლავთ ბიძინა სონლილაშვილის თაოსნობით სამეწარმეო-ქართული, ინგლისური, გერმანული წიგნის „კახეთის“ გამოცემა.

კახეთის ულამაზეს სოფელ კარდენაში დაბადებულ პოეტს იოსებ ნონეშვილს, სწორედ ხელთუქმნელმა მშვენიერებამ ათქმევინა:

ცივგომბორიდან სიმღერით
სიცოცხლის გადარსებით,
მოსჩანს იისფერ ნისლეტში
კახეთი, ჩემი კახეთი...

კახეთს ორ ნაწილად ყოფს ცივგომბორის ქედი, საიდანაც დასავლეთით ივრის, აღმოსავლეთით კი ალაზნის ველის იშვიათი სანახაობა იშლება. კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი მხარეა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვედა დინებასა და მდინარე ალაზნის აუზს. ივრის შუა ნელს გარეკახეთს უწოდებენ, ქვემო ნელს ქიზიყს, მარჯვენა სანაპიროს - შიდა კახეთს, ხოლო მარცხენა სანაპიროს - გაღმა კახეთს.

კახეთს აღმოსავლეთიდან აზერ-

ბიჯანი ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედი, სამხრეთ დასავლეთიდან ქვემო ქართლის, ხოლო ჩრდილო დასავლეთიდან მცხეთა მთიანეთის მხარე. დღევანდელი კახეთი-ეს არის მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებული მარცვლელური კულტურების, მევენახეობისა და მეღვინეობის მხარე, სადაც თავიანთ კაპიტალს აბანდებენ საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

იქმნება ერთობლივი სანარმოები. კახური ჯიშების ყურძნისაგან მზადდება და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება ისეთი უნიკალური ქართული ღვინოები, როგორცაა: „ძველი თბილისი“, „რქაძინელი“, „მუკუხანი“, ვაზისუბანი, „ნაფარეული“, „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ალაზნის ქელი“, „მანავი“, „საფერავი“, „ტიბაანი“ და სხვა.

ვენახებს საერთო ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ინტენსიურად მზდობა ღვინის წარმოებისათვის აუცილებელი ვაზის ჯიშები. კახეთის ღვინის ქარხნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველისძველი, 1865 წელს ამუშავებული წინანდლის ღვინის ქარხანა და ყვარლის ღვინის ქარხანა კლდე-

ში ნაკვეთი 1500-მეტრიანი უნიკალური გვირაბის საცავით. მიმდინარეობს მცირე სიმძლავრის ქარხნების მშენებლობაც და არსებულის ტექნიკური გადაიარაღებაც. ყოველივე ეს კი ცხადია, კეთილნაყოფიერ გავლენას იქონიებს დარგის შემდგომ განვითარებაზე.

ქართული ღვინის პოპულარობაზე მეტყველებს ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო დეგუსტაციებზე და კონკურსებზე მოპოვებული უმაღლესი ჯილდოები.

კახეთის მხარე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ცის სილურჯში ატყორცნილი ახმეტის ალავერდის ტაძარი, ყველაზე მაღალი ტაძარია (56მ); დედოფლისწყაროს სუროთმოდგენული ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ოზანის „ამალღების“ გუმბათოვანი ტაძარი (IX) და შუა საუკუნეების ძეგლი ხორნაბუჯის ციხე-საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ლავოდების X-XI საუკუნეების ლელეანის წმინდა თევდორეს ეკლესია, სიღნაღის წმინდა ნინოს ბოდბის მონასტერი.

ამ დღეებში, მზიან დღეს, დედოფლისწყაროს ხორნაბუჯის ციხესთან გაიმართა კახეთის წიგნის წარდგინება, რომელსაც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ლეონოსის სკოლის აღმასწავლებლები, მნიშვნელოვანია ასოციაციის წევრები, ახალგაზრდა თაობა და სპე-

ციალური მოწვევით ადიგენის რაიონის ცნობილი ფერმერი მერაბ პაპიძე.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლალი გურასაძემა ისაუბრა წიგნში წარმოდგენილ კახეთის მხარის ქალაქ თელავისა და რაიონების: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლავოდების, საგარეჯოს, სიღნაღის შესახებ და ამ რაიონებში დაბადებულ გამოჩენილ პიროვნებებზე: ილია ჭავჭავაძე, კოტე მარჯანიშვილი, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნატო ვაჩნაძე, ნიკო ფიროსმანაშვილი, იოსებ ნონეშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ამავე მუზეუმის მკვლევარმა ლალი ბასილაშვილმა, ყურადღება გაამახვილა ბაგრატიონთა შტოზე, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისსაგამირო საქმეებზე, სწორედ ერეკლე მეორეს მიერ არის აღდგენილი ადრინდელი შუა საუკუნეების ძეგლი ხორნაბუჯის ციხე, რომელიც უტყუარო მემკვიდრე ქართველი ხალხის, ჩვენი წინაპრების, გმირობისა. მერაბ პაპიძემ მაღლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაციის რომ სამუალება მიეცათ თავისი თვალთ ენახა ხორნაბუჯის ციხე.

კახეთის წიგნის წარდგინების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი გახლდათ ამ სტატიის ავტორი დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი - **ბარია პოპიაშვილი**.

88 წლის პაპა ბარბანიაში აპრო 2024-ს დაესწრება

ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში პოპულარულია 88 წლის დედოფლისწყაროელი პაპის და მისი შვილიშვილის ვიდეოები. რობიზონ ნატროშვილს იმდენი გულშემატკივარი გამოუჩნდა, ოცნებების ასრულება დაიწყეს და ევროპის ჩემპიონატზე გერმანიაში გამგზავრებას დაპირდნენ.



მისმა შვილიშვილმა ვიდეოების გადაღება რობიზონ პაპასთვის 9 თვის წინ დაიწყო და დღეს ის ყველაზე პოპულარულია **facebook**-სა და ტიკტოკ-ში. ვიდეოებში, რომელსაც ზუკა ნატროშვილი იღებს და ინტერნეტში აქვეყნებს, პაპა, რობიზონ ნატროშვილი ემოციურად საუბრობს მის სურვილებზე, განვიღო ცხოვრებაზე, სამომავლო გეგმებსა და ოცნებებზე. ვიდეოებს რეკორდულად ბევრი რეაქციები აქვს.

„პატარაობიდანვე მქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება პაპა-ბებებთან და რაც ტელეფონი მაქვს სულ ვუღებდი ვიდეოებს. მინდოდა, რომ მქონოდა თუნდაც მათი ემოციები შენახული, რომელიც იყო გულწრფელი და ნამდვილი. პაპა ახლა 88 წლისაა და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჩემი და მისი ოცნებები ერთმანეთს ემთხვევა. ამან ნათლად მაჩვენა, რომ სანამ ცოცხალი ხარ, უნდა იყო ცოცხალი, ასაკში შესვლა განაჩე-

ნი არ უნდა იყოს. პირველი ვიდეო, რომელიც პაპას გადაუღდე, 9 თვის წინ დაგდე და დიდი გამოხმაურება და სიყვარული მოყვა. ხალხმა დაინახა გულწრფელი, ნამდვილი ემოცია. ამან მომცა ბიძგი, რომ დამედო უფრო ბევრი და კარგი ვიდეო. უფრესაც ვიღებ ვიდეოს, არასდროს არ არის დადგმული და დამუშავებული. ჩვენ ვცხოვრობთ დედოფლისწყაროში და აქ ბედნიერები ვართ“, - განაცხადა ზუკა ნატროშვილმა.

ზუკა ამბობს, რომ ვიდეოების სოციალურ ქსელში განთავსების შემდეგ, დადებითი ემოციები და მესიჯები არ წყდება. ეს კი, როგორც თავად ამბობს, რობიზონ პაპას დიდ სტიმულს აძლევს.

„საზოგადოება ჩვენს ვიდეოებს შეხვდა ძალიან დადებითად და დღითიღე იზრდება მათი რიცხვი. ყოველდღე მოდის უამრავი შეტყობინება, სადაც გამოხატავენ სიყვარულს, სიხარულს და ბევრ დადებით ემოციას. ბევრ ადამიანს გარდაცვლილი ყავთ პაპა და მას ამსგავსებენ თავიანთ მონატრებულ პაპებს. რობიზონ პაპასთვის ძალიან ემოციურია ამხელა სიყვარული, ეს მას აძლიერებს და სიცოცხლეს უზანაგრძლივებს. ვიდეოები, ძირითადად, ჩვენს ურთიერთობას ასახავს და ჩვენს ოცნებებს და სურვილებს გამოხატავს-გვიყვარს დროის ერთად გატარება“, - გვიამბობს ზუკა.

ზუკა ამბობს, რომ განსაკუთრებული აქტიურობა ფეხბურთის ეროვნული გუნდის შესახებ გადაღებულ ვიდეოს მოყვა, სადაც პაპა ეროვნული გუნდის წარმატებაზე საუბრობს და ოცნებობს, რომ თამაშს გერმანიაში დაესწროს. მისივე განმარტებით, ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ, პაპას აჩუქეს როგორც ფეხბურთზე დასასწრები, ასევე გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთები და მისი ოცნება რეალობად იქცევა.

/დასასრული ბოლო გვერდზე/

ტრაგედია და-ძმა ემსხვერპლა

ტრაგედია მოხდა დედოფლისწყაროში — 16 აპრილს ქოჩების ტბის მიმდებარე ცენტრალურ გზაზე ტრაქტორის მისაბმელი მოსწყდა და მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. შედეგად ორი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, ერთი კი დაშავდა. უბედური შემთხვევა მოსახვევაში მოხდა, რა დროსაც მოულოდნელად ტრაქტორს შესანამლი აპარატის ფრთები გაეშალა და საპირისპირო მიმართულებით მოძრაე ავტომანქანას დაეჯახა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, გარდაცვლილი და-ძმა ზემო ქედში მიდიოდა, თუმცა ისინი ადგილობრივები არ იყვნენ. მათ ბებია ჰყავთ ზემო ქედში და სწორედ მის მოსანახულელებად რუსთავიდან მიდიოდნენ. გარდაცვლილები არიან 35 და 37 წლის ვალერ და თამუნა ფრიდონაშვილები. კაცი რუსთავში ცხოვრობდა, ქალი კი თელავში იყო გათხოვილი.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გადარჩა ავტომობილის კიდევ ერთი მგზავრი, რომელიც მძღოლის გვერდით სავარძელზე იჯდა. ის სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსა. მედიკოსების განმარტებით, მას მნიშვნელოვანი დაზიანებები არ მიუღია და მხოლოდ ავარიისშემდგომი შოკი ჰქონდა. დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გაზეთი „შირაქი“ თვითმხილველსაც ესაუბრა. თამუნა პირველი იყო, რომელიც ავტოავარიას შეესწრო და სამაშველო სამსახურიც მან გამოიძახა: — „დაზარალი ვარ ნანახით, გახსენებაც კი მთრგუნავს. იმ დღეს მეუღლე ექიმთან მყავდა და ქედში ვბრუნდებოდი. ვიდრე ტბასთან მივიდოდი გზის მარცხენა მხარეს ბელარუსის მარკის ტრაქტორი იყო გაჩერებული. მძღოლი დაბლა იყო და რაღაცას ასწორებდა. ჩემმა მეუღლემ რომ დაინახა თქვა, რაღაცას არის გამოდებული. ჰერბიციდის შესანამლი მისაბმელის მკლავი იყო საშინლად მოხრილი. უცებ დავინახეთ გაჩერებული მოშავო ფერის მიტუბის მარკის ავტომანქანა. კარი გახსნა, დასისხლიანებული ქალი გადმოვიდა მიშველეთ, ორი-

ვე მკვდარიაო. მძღოლი მეუღლეა, უკან კი ჩემი მულიაო. როგორც ჩანდა ორივეს თავის არეში ჰქონდა დაზიანებები. მაშინვე დავრეკე სასწრაფოში, და 112-ს შეტყობინება მივანოდე, მაგრამ მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო, ადგილზე დაიღუპნენ. ქალი ტიროდა, „ზემო ქედში მივდიოდი, ბებია ბოლო ნუთებშია და უნდა მოგვენახულებინა. ისეთი სისწრაფით მოდიოდა, კომბანიმა გადაგვიარაო“ — ყვიროდა. იმდენად ემოციურად იყო, ვერ მიხვდა რომ ტრაქტორი იყო და არა კომბანი. ჩემს მულს სამი შვილი ჰყავსო. ტიროდა, „ახლა რა ვუთხრა შენს შვილებსო“. სასწრაფო და სახანძრო ძალიან მალე მოვიდნენ. შეჯახების შედეგად მანქანამ ინერციით კიდევ იარა, ეს ქალი ამბობდა, მე გავაჩერეო. ამ დროს ტრაქტორი კი მაღალ ძაბვის სადგურს რომ გავცდებოდი იქ იდგა. მანქანასთან ახლოს ვერ მივდიოდი, მაგრამ დავინახე ცხედრები როგორ გადმოიყვანეს საკაბით და სასწრაფო დახმარებამ ექსპერტიზაზე გადაიყვანა. პოლიციას შემთხვევის ადგილზე არ დაუვკითხვიარ, გადარჩენილი მგზავრი გამოკითხეს. მე კი მეორე დღეს დამიბარეს არხილოსკლოს განყოფილებაში და ჩვენება მივეცი. სწორედ იქ მიხარეს, რომ ჩემი ზარი 17:04 ნუთზე შევიდა,“ - ამბობს თვითმხილველი.

სოფელ ზემო ქედში ამბობენ, რომ მომხდარი თვალის დასწრებულთა: „მათი დედა ჩვენი სოფლიდან. თურმე ემიგრანტ დედას დაუძალებია, რამდენიმე დღე სთხოვდათ, მისი გაზრდილები ხართ, ჩადით სოფელში, ბებია მოინახულეთო“.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 6-ე ნაწილით დაიწყო. რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. კოდექსის მიხედვით, დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ილია ბარტყოფლიშვილი

ანა კიკილაშვილი, ანა ბენაშვილი, ბელა ქადაგიძე, ლალი მადლარაშვილი, მანანა გოგიშვილი და ია სულაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი თანამშრომლის

თინა გომავალიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს

თინა გომავალიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

კოლეჯი „აისი“ აცხადებს მიღებას 2023-2024 სასწავლო წლისთვის

სსიპ კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალში დაიწყო რეგისტრაცია 22 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით შემდეგ პროფესიულ საბანანათლებლო პროგრამებზე:

ინჟინერიის მიმართულება:

- 1. ელექტრომობილური ტექნიკის სპეციალისტი - III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
- 2. შიდა სისტემების ინჟინერი - IV დონე (სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე)

ხელოვნების მიმართულება:

- 1. თეატრის და სილიამაზის მომსახურება - III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
- 2. თეატრის დამხმარებელი - III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ზოგადი ადმინისტრირების მიმართულება:

- 1. **კულტურული ადრისცხვა** - V დონე (სწავლის ხანგრძლივობა 18 თვე). ჩარიცხვა ხდება გასაუბრების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მე-3 დონის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს საბაზო ზოგადი განათლების, სრული ზოგადი განათლების ატესტატი ან უმარლესი სასწავლებლის დიპლომი. მე-4 დონის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაცია შეუძლია სრული ზოგადი განათლების ატესტატით ან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- 2 ცალი ფოტო სურათი /ზომით 3X4/ პირადობის მოწმობის ასლი; განათლების მოწმობის ასლი; განცხადება /ადგილზე შევსებით/




საბუთების მიღება დაიწყო! ი ჩ ქ ა რ ე თ ი !

დანვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმობდნით კოლეჯში, მისამართზე:

ქ. დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე) ტელ: 577 577 159; 577 962 967

88 წლის პაპა გერმანიაში ევრო 2024-ს დაესწრება



/დასაწყისი 7-ე გვერდზე/

„როდესაც ჩვენი ნაკრები ითამაშა საბერძნეთთან და მოვიგეთ, პაპას ჰქონდა დიდი ემოცია, სიხარულით ვერ იძინებდა ღამე. როდესაც ვკითხე რა იყო მისი ოცნება, გულწრფელად მითხრა, რომ მინდა გერმანიაში ჩვენი ბიჭების თამაშის ყურება და ქომაგობა. როდესაც დავდე ვიდეო, ადამიანების კომენტარები და შეტყობინებები არ წყდებოდა. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ მოვარგოვებთ ფულს და გავუშვებთ პაპას გერმანიაში. ასევე ძალიან ბევრი ბიზნესმენი და ინფლუენსერი გამოემხმებოდა, ვინც მწერდა, რომ დააფინანსებდნენ პაპას გერმანიაში გამგზავრების ტურს სრულად. გარდა ამისა, ვიდეოს გამოემხმებოდა ბიზნესმენი და პოლიტიკოსი მამუკა ხაზარაძეც. მან დანერგა კომენტარებში, რომ თავად აფინანსებდა პაპას ოცნებას და მალევე მისი ასისტენტი შემეხმინა. მან მითხრა, რომ პაპას ამის შესახებ თავად ბატონი მამუკა ეტყობდა. მან პაპას უთხრა, რომ სრულად დაუფინანსებდა გერმანიის ტურს. პაპას ძალიან გაუხარდა და ემოციებისგან ის ღამეც ვერ დაიძინა. მინდა, რომ ჩემი და პაპას სახელით დიდი მადლო-

ბა გადავუხადოთ ყველას“, - განაცხადა ზუკა ნატროშვილმა.

გარდა ამისა, ეროვნული გუნდის ფეხბურთელმა, კახელმა გიორგი ქორორაშვილმა, პაპას საკუთარი მაისური აჩუქა, რომელიც მისმა მშობლებმა ადგილზე მოუტანეს.

„ერთ-ერთ ვიდეოში პაპამ თქვა, რომ ეროვნულ ნაკრებში ყველა მაგარია, მაგრამ გიორგი ქორორაშვილს გამოვარჩევო, იმიტომ, რომ თამაში მომეწონა მისი და თან კახელიაო. ეს ამ მაგარ ბიჭს უყურადღებოდ არ დაუტოვია და თავის მამას, პაპასთვის მაისური და ვიდეო ჩანაწერი გამოატანა. დედოფლისწყაროში ჩამოვიდნენ, ქორორა პირადად გაცნობას და მაისურზე ხელმოწერას შეპირდა. ამანაც ძალიან გაახარა რობიზონ პაპა“.

ზუკა აცხადებს, რომ სამომავლოდ დაგეგმილი აქვს პაპას სურვილების ასრულებაზე იზრუნოს და მას ცხოვრება გაუღამაზოს. „სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, გავაგრძელებთ ისევე ასე და ვეცდები, რომ ჩემი და პაპას ოცნებას, რომელიც არის ევროპაში მოგზაურობა ფრთები შევასხა. მინდა, რომ საინტერესო, პროდუქტიული და სიხარულით გაჯერებული სიბერე ჰქონდეს და არასდროს იგრძნოს, რომ უკვე მოხუცია და მის ოცნებებს აზრი არ აქვს“, - აცხადებს ზუკა ნატროშვილი.



„ქორორამ“ პაპას მაისური აჩუქა და გაცნობას დაპირდა

ქორეოგრაფის იუბილა

15 აპრილს რუსთაველის თეატრმა გამოჩინილი ქორეოგრაფის, მწერლის, გივი სიხარულიძის მხარდაჭერით გამართა თამაზ ჟორჯიანი-სადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ღონისძიება მისი დაბადებიდან 77 და შემოქმედებითი მოღვაწეობიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით შედგა. მასში მონაწილეობდნენ თბილისისა და რეგიონების სხვადასხვა ანსამბლები, მათ შორის დედოფლისწყაროდან.

დედოფლისწყაროდან იმყოფებოდნენ სოფელ სამრეკლოს და ზემო მაჩხაანის კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლი

„ასსა“, მისი ხელმძღვანელია თამაზ ჟორჯიანი. (სამრეკლოს კულტურის სახლის ხელმძღვანელი ნათელა ბეკომელი, ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის ხელმძღვანელი ნაირა ნატროშვილი) საიუბილეო საღამოს უძღვებოდა ზაზა ალექსიძე.

იუბილარ ქორეოგრაფს მიესალმნენ გივი სიხარულიძე, რეზო ჭანიშვილი და ერეკლე სალიანი. მათ იუბილარს ასევე მიულოცეს ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარის ზაზა მჭავანაძის მიერ მისთვის გადაცემული ბრწყინვალეების ორდენი და დიპლომი.



შეკანსია!

გაუთი შირაქი აცხადებს შეკანსიას სოციალური მედიის არხების სახელისუფლო პოლიტიკა.

ქირითადი ვალდებულებები:

-საიტისა და სოციალური მედიის (Facebook, LinkedIn, Instagram, Tik-Tok- ის მართვა); კონტენტის შერჩევა და განთავსება;

-ვიდეო-სიუჟეტების მომზადება, მონტაჟი; -კომპანიის შიგნით კრეატიული პროცესების მართვა და კონტენტის შექმნა.

საკავალიფიკაციო მოთხოვნები:

-სასურველია უმაღლესი განათლება; -ინგლისური ენის ცოდნა;

პროფესიული მასსიათაგები:

-პასუხისმგებლობის გრძობა -გუნდური მუშაობის უნარი; -დეტალებზე ორიენტირებულობა;

ჩაიუთი გამოგზავნეთ მიღვა gazetishiraki@gmail.com ან დაგვიკავშირდით ნომერზე 591 092 477

ამინდი

ორშაბათი 20.04 დღე	სამშაბათი 21.04 ღამე	ოთხშაბათი 22.04 დღე	ხუთშაბათი 23.04 ღამე	პარასკევი 24.04 დღე	შაბათი 25.04 ღამე	კვირა 26.04 დღე	ღამე
25°	18°	27°	16°	25°	18°	30°	17°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგო შიოლაშვილი
რედაქტორი ილია პარკაშვილი

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა საქმობლო“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში - 20 ლარი

წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.